ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საკონკურსო კომისიის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოაცხადა ღია კონკურსი საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის გენდერულ საკითხებში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

კონკურსი გამოცხადდა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) შემდეგი პირობებით:

1. კონკურსს ატარებს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საკონკურსო კომისია, რომელიც ადგენს კონკრეტული ვაკანტური თანამდებობისთვის დაწესებული საკონკურსო საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობას.

2. კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევა 18 წლის ასაკს მიღწეულ, საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

3. კანდიდატმა კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადი უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით, მისამართზე: www.hr.gov.ge.

4. კანდიდატი ვალდებულია დამსაქმებელს მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია საკონკურსო მოთხოვნებთან დაკავშირებით.

5. კანდიდატს შეუძლია განცხადებაში შეიტანოს ცვლილება განცხადების წარდგენისთვის განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

6. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) - „ჩემი რეზიუმეს“ „დამატებითი დოკუმენტაციის“ ბლოკში კანდიდატმა უნდა ატვირთოს:

- განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

- სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის სათანადოდ გაფორმებული ასლი (შრომის წიგნაკი (არსებობის შემთხვევაში) ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომელშიც ასახული იქნება სამსახურის დაწყების და დასრულების სრული თარიღი და დაკავებული თანამდებობა);

- გასაუბრების ეტაპზე ჩამოთვლილი სამართლებრივი აქტების ცოდნა პირს მოეთხოვება გასაუბრებაზე.

- საბუთები წარდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოურენოვანი საბუთის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარდგენა).

- კანდიდატი, რომლის მონაცემებიც განაცხადის (აპლიკაციების) გადარჩევის საფუძველზე ვერ დააკმაყოფილებს დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ასევე, სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტების წარუდგენლობის შემთხვევაში, ვერ გააგრძელებს კონკურსში მონაწილეობას.

- გასაუბრებისათვის დაკავშირება მოხდება შერჩეულ კანდიდატებთან (კონკურსის ეტაპების შედეგების შესახებ კანდიდატს ეცნობება მის მიერ განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით).

- კონკურსის ეტაპების შედეგების, ასევე ჩატარების ზუსტი ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ ელექტრონული ფოსტით და მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.

7. კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:

განცხადების გადარჩევა;
გასაუბრება.

8. გასაუბრებაზე გამოცხადებისას მონაწილეებმა თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ან მართვის მოწმობა).

9. კანდიდატს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების შესახებ ინფორმაცია ეცნობება აპლიკაციაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდება ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.khobi-sakrebulo.ge;)

10. კონკურსანტს უფლება აქვს კონკურსის შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა მხოლოდ წერილობითი ფორმით მისამართზე: ქ. ხობი; ცოტნე დადიანის ქ. N189 (ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა).

11. ინფორმაცია კონკურსის მიმდინარეობის შესახებ დაინტერესებულ პირს შეუძლია იხილოს საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდებზე, შემდეგ მისამართებზე: საკრებულო (www.khobi-sakrebulo.ge), ლინკი: http://khobi-sakrebulo.ge/ge/our-municipality/vakansiebi/2022-tseli/ianvari-2

საკონტაქტო ინფორმაცია: ელექტრონული ფოსტა :sakrebulo@khobi.gov.ge; khobi.mun@gmail.com

ტელეფონი: 599856164 გიორგი გერგაია

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საკონკურსო კომისია